„საზოგადოება ივერიისას“ 2024 წლის საქმიანობის ანგარიში

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით „საზოგადოება ივერიისას“ შემოწირული თანხის ოდენობამ შეადგინა 695,721.39 ლარი. (საბანკო ანაბრების პროცენტიდან მიღებული შემოსავალი იყო 106,515.49 ლარი. სულ შემოსავალი შეადგენს კურსთაშორისი სხვაობის გათვალისწინებით 802,236.88 ლარს).

შემოწირული თანხა მოხმარდა შემდეგ საჭიროებებს: მახათას ტაძრის ფუნქციონირება, ინფრასტრუქტურის განახლება, გამწვანება, ქრისტიანული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლასა და პოპულარიზაციის საქმეს (გელათის რეაბილიტაციის პროექტის და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციის მხარდაჭერა), საგანმანათლებლო, საინფორმაციო უზრუნველყოფას ადმინისტრაციულ ხარჯებს.

2024 წელს „საზოგადოება ივერიისამ“ განახორციელა შემდეგი პროექტები.

1. ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ფუნქციონირებისა და ინფრასტრუქტურის განახლებისათვის გაწეული ხარჯი

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი ამოქმედდა 2019 წლის მაისში. თუმცა, დღემდე გრძელდება სამონასტრო კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები. მიმდინარეობს ტაძრის შიდა და გარე პერიმეტრის კეთილმოწყობა.

2024 წელს ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

- ტაძრის მშენებლობა და კეთილმოწყობა ფუნქციონირებისათვის საჭირო გახდა ტაძრის ტექნიკური სართულის ცივი ნაკერების ინექცირება (ჰიდროიზოლაცია); ტაძრის სახურავის გამაგრება. სამუშაოები ჩაატარა შპს “პროგრეს საქართველო 2022”.
- ტაძრის წინა ეზოში მოეწყო სარწყავი სისტემა და დაირგო გამწვანება.
- ტაძრის ინვენტარის შეძენა (ხატის სადგამი).

2. გელათის რეაბილიტაციის დროებით კომიტეტთან თანამშრომლობა

„საზოგადოება ივერიისა“ ჩართულია გელათის რეაბილიტაციის გრძელვადიან პროცესში და უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობასა და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას.

“საზოგადოება ივერიისამ“ დააფინანსა უცხოელი არქიტექტორების მონაწილეობით დაწყებული გელათის ახალ გენერალური გეგმის მომზადების პროექტი. შემუშავდა გენერალური გეგმის კონცეფცია, მომზადდა პროექტი, რომელიც გელათის აკადემიის შენობას განახლებულ ფუნქციას შესძენს – ეს იქნება გამოფენისა და შემეცნებითი შეხვედრების ადგილი.

„საზოგადოება ივერიისას“ ფინანსური მხარდაჭერით მზადდება სამაგიდო წიგნი „გელათი - დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობა“, რომელიც საქართველოს და მართლმადიდებლური სამყაროს ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასულიერო კერისა და საგანმანათლებლო-კულტურული ცენტრის არსისა და მნიშვნელობის წარმოჩენას ისახავს მიზნად.

სამაგიდო წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მიერ მომზადებული ინფორმაცია. მკითხველს მიეწოდება გელათის შესახებ XII-XIII საუკუნეებთან დაკავშირებული მდიდარი მასალა, მათ შორის – აქამდე უცნობი მონაცემებიც. წიგნის მთავარი რედაქტორია პროფ. ზაზა სხირტლაძე. წიგნში შესულია 22 ავტორის 33 სტატია. წიგნის ბეჭდვა დაგეგმილია 2025 წელს.

3. თანამშრომლობა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან

„საზოგადოება ივერიისა“ გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან. საქართველოს მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და მისი უკეთ წარმოჩენისა შესახებ „საზოგადოება ივერიისას“ მიერ დაწყებული ახალი საზოგადოებრივი კამპანიის ფარგლებში, ცენტრს გადაეცა:

- კომპიუტერული ტექნიკა
- დამზადდა თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი საგამოფენო სტენდები და ვიტრინები. ახალი ვიტრინები უკეთ უზრუნველყოფს უნიკალური ხელნაწერი წიგნებისა და დოკუმენტების დაცვასა და წარმოჩენას.
- „საზოგადოება ივერიისას“ და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2024 წელს, ქართულ ენაზე, გამოიცა წიგნი „ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა (V-XIX სს.)“. წიგნში წარმოდგენილია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უნიკალური კოლექცია, რომელიც ასახავს ქართული ენისა და დამწერლობის ისტორიას, ქართველი ადამიანის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ხანგრძლივ გზას, მხატვრული თუ მსოფლმხედველობრივი აზროვნების ჩამოყალიბების ეტაპებს. მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს ქრისტიანული მწერლობის, მხატვრული ლიტერატურის თუ საისტორიო მწერლობის არაერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს. ეს უნიკალურ მემკვიდრეობა არამარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს მნიშვნელოვანი საგანძურია. წიგნის „ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა (V-XIX სს.)“ ელექტრონულ ფორმატში ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის არის ხელმისაწვდომი „საზოგადოება ივერიისას“ ვებგვერდზე.

4. ჟურნალი „გული გონიერი“

2024 წელს გამოიცა და დაიბეჭდა ჟურნალი “გული გონიერი”
N 25 - სააღდგომო გამოცემა, თემით “ეროვნული იდენტობა”
N 26 - საღვთისმშობლო გამოცემა, თემით „ქრისტიანული რწმენის გავლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე, კულტურაზე და თვითშეგნებაზე“.
საზოგადოება ივერიისა ჟურნალი "გული გონიერის" საშუალებით თანამშრომლობს ისეთ ავტორებთან, რომლებიც თავიანთ სტატიებში ფასეულობითი განათლების პერსპექტივით განიხილავენ ქრისტიანობაზე დაფუძნებული მსოფლმხედველობისა და ეროვნული იდენტობის საკითხებს.
ამ ნომრებში არსებული სტატიების უმრავლესობა აშუქებს ქრისტიანულ თემატიკას, რომელიც ქართულ ლიტერატურაში, ხელოვნებასა და საქართველოს ისტორიაში გვხვდება. ჟურნალის ყველა ნომერი ხელმისაწვდომია „საზოგადოება ივერიისას“ და ფასეულობათა კვლევის საზოგადოების ვებგვერდებზე.

5. დოკუმენტური ფილმი „ქეთევანი-დედოფლის დაბრუნება“

„საზოგადოება ივერიისამ“ დაიწყო ახალი პროექტი, რომლის მიზანია წარმოაჩინოს ის ისტორიული პიროვნებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ჩვენი იდენტობის განსაზღვრაში. ამ პროექტის ფარგლებში „საზოგადოება ივერიისას“ მხარდაჭერით მომზადდა დოკუმენტური ფილმი ქეთევან დედოფალზე – „ქეთევანი-დედოფლის დაბრუნება“, რომელიც დედოფლის მოწამებრივი აღსასრულიდან 400 წლისთავს მიეძღვნა. ფილმის პრემიერა „თბილისი მარიოტში“ გაიმართა. ჩვენებას ესწრებოდა 120-ზე მეტი ადამიანი. მოგვიანებით აღნიშნული ფილმის წარდგენა მოეწყო იტალიაში, ის ნაჩვენები იყო იტალიაში მაცხოვრებელი ქართველი ემიგრანტებისთვის.

6. მამა გაბრიელის აღმსარებლისა და სალოსის წმინდა ნაწილებისა და ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო ხატის მოგზაურობა იტალიაში

„საზოგადოება ივერიისას“ ინიციატივითა და დაკვეთით შეიქმნა ღირსი მამა გაბრიელის აღმსარებლისა და სალოსის სანაწილე ხატი. ხატისთვის დამზადდა ლუსკუმა. მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული ხატისა და ლუსკუმას ავტორია დავით კაკაბაძე (უმცროსი).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და „საზოგადოება ივერიისას“ ინიციატივით ხატი ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო და მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები ღირსი მამა გაბრიელ აღმსარებლის და სალოსის ხსენების დღეს ქართველი ემიგრანტების სანუგეშებლად იტალიაში ჩაბრძანდა.

იტალიის სამ ქალაქში - რომში, ფლორენციასა და ბარიში ქართველ ემიგრანტებს საშუალება ჰქონდათ მოელოცათ სიწმინდეები. აღნიშნული ღონისძიებას ქართველ ემიგრანტთა შორის დიდი გამოხმაურება ჰქონდა, ის კარგად გაშუქდა ქართულ მედიაში.

7. ადმინისტრაციული ხარჯები და „საზოგადოება ივერიისას“ საინფორმაციო კამპანია

ადმინისტრაციული ხარჯები შედგებოდა:

- შრომითი ანაზღაურება პერსონალისთვის
- ოფისის ადმინისტრაციული ხარჯები
- აუდიტორის ხარჯი

„საზოგადოება ივერიისას“ საინფორმაციო კამპანია – გაფორმდა ხელშეკრულება „პალიტრა მედია ჰოლდინგთან“. ხელშეკრულების ფარგლებში „საზოგადოება ივერიისას“ საქმიანობის შესახებ მომზადდა ვიდეო რგოლები, სატელევიზიო სიუჟეტები, კლიპები, სტატიები, ინტერაქციული კითხვარები და ა.შ. მომზადებული მასალა განთავსდა „კვირის პალიტრას“ საინფორმაციო პორტალზე, სოციალურ ქსელებში (Facebook, Instagram, youtube, tiktok), სტატიები გამოქვეყნდა გაზეთში „კვირის პალიტრა“, სიუჟეტები გავიდა „პალიტრა ნიუსში“.